მშობელთა ნორმებისა და ბავშვთა რთულ გამოცდილებასთან დაკავშირებული კულტურული განსხვავებების გავლენა ინდივიდების კეთილდღეობაზე

ქეთევან გიგინეიშვილი

სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე ფსიქოტრვმატოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების
მოთხოვნების შესაბამისად

ფსიქიკური ჯანმრთელობის სამაგისტრო პროგრამა (ფსიქოტრავმატოლოგია)

კურსის ხელმძღვანელი: ნინო მახაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2025

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი , ვაცხადებ , რო მ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ , გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს , რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ქეთევან გიგინეიშვილი

18.06.2025

აბსტრაქტი

წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომი შეეხება ბავშვზე არასათანადო მოპყრობის გამოცდილებებს, სოციალურ ნორმებს და ფსიქოლოგიური შედეგების ფორმირებაში მათ ურთიერთქმედებას. კვლევის მთავარი მიზანი იყო დაედგინა, თუ როგორ მოქმედებს ძალადობისადმი სოციალური ნორმების მიმღებლობა ბავშვობის ტრავმული გამოცდილებების ფსიქოლოგიურ შედეგებზე — კერძოდ, პოსტტრავმული სტრესული აშლილობის, დისტრესის, მედეგობისა და პოსტრავმული ზრდის მაჩვენებლებზე.

ნაშრომის თეორიული ჩარჩო აერთიანებს სოციალურ და ტრავმასთან დაკავშირებულ მოდელებს: სოციალური ნორმების თეორია განმარტავს, თუ როგორ შეიძლება ძალადობა აღქმულ იქნეს მისაღებ ქცევად კულტურულ დონეზე; თვითკატეგორიზაციის თეორია ხაზს უსვამს ჯგუფურ იდენტობასა და მშობელთა ნორმების როლს ძალადობის ინტერპრეტაციაში; ეკოსისტემების თეორია კი ინდივიდსა და გარემოს შორის მრავალდონიან ურთიერთობას აღწერს. პარალელურად, ჰერმანის ტრავმის მოდელი, კომპლექსური ტრავმის და ჰიპოთალამუს-ჰიპოფიზ ტირკმელზედა ჯირკვლის ღერძის დისრეგულაციის ბიოფსიქოსოციალური მოდელები ხსნიან, როგორ გარდაიქმნება ბავშვობის უარყოფითი გამოცდილება ფსიქოფიზიოლოგიურ აშლილობებად. ამასთან, ნაშრომი მოიცავს ფსიქიკური ჯანმრთელობის სხვა შედეგებსაც, როგორიხაა მედეგობა და პოსტრავმული ზრდა.

ნაშრომში მოცემული კვლევა ეფუძნება აღწერით დიზაინს და მეორად მონაცემებს. მონაცემების შეგროვებისთვის გამოყენებულ იქნა ფსიქომეტრიული კითხვარები. ჯამში კვლევაში ყველა კითხვარი 110-მა მონაწილემ შეავსო. მონაცემთა ანალიზისთვის გამოყენებულ იქნა ფაქტორული ანალიზი ტრავმის ტიპოლოგიის დადგენის მიზნით და კორელაციური ანალიზი შედეგებს შორის კავშირის გამოსავლენად. ნორმების,

მედეგობის, დისტრესის, პოსტრავმული სტრესული აშლილობის და პოსტრავმული ზრდის შეფასებისთვის.

შედეგებმა აჩვენა, რომ ბავშვობაში ტრავმის კუმულაციური გამოცდილება მჭიდროდაა დაკავშირებული PTSD-ის სიმპტომებთან და მედეგობის შემცირებასთან. განსაკუთრებით საყურადღებო აღმოჩნდა უგულვებელყოფა — როგორც სოციალური ნორმებით ხშირად ნორმალიზებული, მაგრამ სიღრმისეულად ზიანის მომტანი ფაქტორი. პარალელურად, აღქმული ნორმების ტოლერანტულობამ ძალადობის მიმართ შესაძლოა შეამციროს დისტრესი, თუმცა გაზარდოს ძალადობის ქრონიკულობა და თაობათაშორისი გადაცემის რისკი.

დასკვნის სახით, კვლევა ხაზს უსვამს იმას, რომ ძალადობის შედეგების გაგება მოითხოვს როგორც ინდივიდუალური ტრავმის ფსიქოფიზიოლოგიური მექანიზმების, ისე სოციალური და კულტურული კონტექსტის ერთობლივ ანალიზს. პრევენციული პოლიტიკა და ფსიქოსოციალური ჩარევა უნდა ეყრდნობოდეს ინტეგრირებულ, კულტურულად მგრძნობიარე მიდგომებს.

აღნიშნული ძირითადი კვლევა განხორციელდა საერთაშორისო პროექტის — Child Maltreatment through a Cross-Cultural Lens – An International Study — ფარგლებში, რომლის მიზანი იყო ბავშვთა არასათანადო მოპყრობის, სოციალური მხარდაჭერის, კულტურული აღქმისა და ფსიქიკური ჯანმრთელობის შედეგების შედარებითი შესწავლა. კვლევაში მონაწილეობდნენ 13 ქვეყნის წარმომადგენლები და გამოყენებულ იქნა სტანდარტიზებული კითხვარები ბავშვთა არასათანადო მოპყრობის, სოციალური მხარდაჭერის, დისტრესის, პოსტრავმული სტრესული აშლილობის, მედეგობის და პოსტრავმული ზრდის შესასწავლად.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ბავშვთა მიმართ ძალადობა, სოციალური ნორმები, პოსტრავმული სტრესული აშლილობა, მედეგობის განვითარება, პოსტრავმული ზრდა

Abstract

This thesis explores experiences of child maltreatment, social norms, and their interaction in shaping psychological outcomes. The main aim of the study was to determine how the cultural acceptance of violence, as reflected in social norms, influences the psychological consequences of childhood traumatic experiences—specifically, symptoms of post-traumatic stress disorder (PTSD), psychological distress, resilience, and post-traumatic growth (PTG). The theoretical framework integrates both social and trauma-related models: Social Norms Theory explains how violence can be perceived as acceptable behavior within certain cultural contexts; Self-Categorization Theory emphasizes the role of group identity and parental norms in interpreting violence; and the Ecological Systems Theory describes the multilayered interactions between individuals and their environments. In parallel, trauma models such as Judith Herman's trauma framework, complex trauma theory, and biopsychosocial models involving dysregulation of the hypothalamic-pituitary-adrenal (HPA) axis explain how adverse childhood experiences may lead to psychophysiological disorders.

Additionally, the study examines other psychological outcomes, including resilience and post-traumatic growth. The research presented in this thesis is based on a descriptive design and secondary data. Data were originally collected using psychometric instruments, and a total of 110 participants completed all questionnaires. Factor analysis was used to explore trauma typologies, and correlational analysis examined the associations between key variables, including norms, resilience, distress, PTSD, and PTG. The results revealed that cumulative traumatic experiences in childhood were strongly associated with PTSD symptoms and reduced resilience. Notably, neglect—often socially normalized—emerged as a deeply harmful factor. Furthermore, a tolerant perception of violence as socially acceptable may reduce subjective distress but increase the risk of trauma chronicity and intergenerational transmission. In conclusion, the study highlights the necessity of understanding the consequences of violence through a joint analysis of psychophysiological trauma mechanisms and the broader socio-cultural context. Preventive policy and psychosocial interventions must be based on integrated, culturally sensitive approaches. The initial study was conducted as part of the international project Child Maltreatment through a Cross-Cultural Lens – An International Study, which aims to explore how cultural perceptions of child maltreatment (CM) influence mental health outcomes. The study involves 13 countries and uses standardized questionnaires to assess CM, perceived social norms, resilience, psychological distress, PTSD, and post-traumatic growth.

Key words: Child abuse, social norms, posttraumatic stress disorder, resilience, posttraumatic growth.

მადლობა

სამაგისტრო ნაშრომის მომზადებაში განსაკუთრებული წვლილის შეტანისთვის გულითად მადლობას ვუხდი ხელმძღვანელს, ქალბატონ ნინო მახაშვილს. კვლევის პროცესში მხარდაჭერისთვის განსაკუთრებულ მადლიერებას გამოვხატავ სტატისტიკოსის ბატონი გიორგი რატიანის და საერთაშორისო კვლევის მთავარი მკვლევარის ბატონი დენიელ ჯენკინსის მიმართ,